

2018

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა
ასოციაცია - აფბა

საქართველოს პოზიციები გლობალური
კონკურენტუნარიანობის 2018 წლის
ინდექსში - ანალიზი და რეკომენდაციები

ავტორი: მეგი ქავთარაძე
აფბა-ს ანალიტიკოსი



სარჩევი

შესავალი.....	3
I თავი. გლობალური კონკურენტუნარიანობის იდექსი 2018; დოკუმენტის სპეციფიკა და მეთოდოლოგიური ცვლილებები.....	4
1.1 დოკუმენტის სპეციფიკა.....	4
1.2 კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებები.....	6
თავი II. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2018 და საქართველო.....	7
2.1 საქართველოს პოზიცია 2018 წლის ანგარიშში.....	7
2.2 ცვლილებები.....	8
თავი III. საქართველო კავკასიის რეგიონულ კონტექსტში.....	12
რეკომენდაციები.....	13
დასკვნა.....	14

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშები 2005 წლიდან გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს ეყრდნობა, რომელიც მოიცავს ეროვნულ კონკურენტუნარიანობას მიკრო და მაკრო ეკონომიკური მიმართულებებით. პოლიტიკა, ინსტიტუტები და ფაქტორები, ეს სწორედ ის მაჩვენებლებია, რომლებიც მიემართებიან კეთილდღეობის ზრდისკენ და საბოლოოდ გლობალური პოზიციონირება ხდება წინაპირობა განვითარებისა თუ სახელმწიფოში საერთაშორისო ინვესტიციების შემოდინების. შესაბამისად, სახელმწიფოში არსებული ყველა სექტორისა და პოტენციური ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში წარმოდგენილი ქვეყნის პოზიცია.

უახლესი მონაცემები მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2018 წლის 16 ოქტომბერს გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც საქართველოს პოზიციამ 67-დან 66-ე ადგილზე გადაინაცვლა და 1.1 პუნქტით გაუმჯობესდა. ვიდრე უშუალოდ დოკუმენტის ანალიზს წარმოვადგენდეთ, მნიშვნელოვანია მოკლედ შეფასდეს სახელმწიფოს ადგილი წინა წლების ანგარიშებში, რადგან სწორედ წინა წლის შედეგი განაპირობებს აღნიშნული საკითხის აქტუალობას. საქართველოს პოზიცია, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე დაყრდნობით, სტაბილურად მზარდი იყო, ერთი გამონაკლისის გარდა, რომელიც 2017-2018 წლის ანგარიშში დაფიქსირდა. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, 137 ქვეყანას შორის საქართველო 67-ე ადგილს იკავებდა, რომელიც 2016 – 2017 წლის ანგარიშის შემდეგ (59-ე ადგილი) 8 ადგილით ჩამოქვეითებას ნიშნავდა, რაც გამოწვეული იყო, არა ჯამური ქულის ცვალებადობით, არამედ სხვა ქვეყნების მიერ პოზიციების გაუმჯობესებით. საინტერესოა რა მიმართულებით შეძლო სახელმწიფომ პროგრესი აღნიშნული “ჩამოქვეითების” შემდეგ და, კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით, სად არის საჭირო მთავრობის მეტი ჩართულობა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში რეალური დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს ცალკეული სექტორების მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, კვლევა შემდეგი სტრუქტურით იქნება წარმოდგენილი: 1. დოკუმენტის სპეციფიკა და მეთოდოლოგიური ცვლილებები, რომლებიც 2018 წლის დოკუმენტში განხორციელდა 2. 2018 წლის ანგარიშში საქართველოს პოზიციონირება 3. 2018 წლის დოკუმენტის ანალიზი 4. რეკომენდაციები 5. დასკვნა

I თავი. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2018; დოკუმენტის სპეციფიკა და მეთოდოლოგიური ცვლილებები

1.1 დოკუმენტის სპეციფიკა

2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს (GCI) ეფუძნება. რეპორტი როგორც წესი, 98 ცვლადს მოიცავს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელი აზრის კვლევაზე დაყრდნობითაა შედგენილი. აღნიშნული ინდექსი ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, სახელმწიფოს ტექნოლოგიური მზაობის დონესა და საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მნიშვნელოვანია:

1. შიდასახელმწიფოებრივი ბიზნესკლიმატის შემსუბუქებისა და მნიშვნელოვანი ფაქტორების გასაანალიზებლად. კონკურენტუნარიანობისა და მეწარმეობის თვალსაზრისით.
2. გლობალურ დონეზე სახელმწიფოს მთავარი სისუსტეების იდენტიფიცირებისა და შემდგომი აღმოფხვრისათვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევის 2017-2018 წლის ანგარიში ითვალისწინებდა განვითარების სამ საფეხურს, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით იყო შეფასებული:

1. ფაქტორ - მამოძრავებელი
2. ეფექტიანობის მასტიმულირებელი
3. ინოვაციის მამოძრავებელი

საქართველო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევითი პრეზენტაციის მიხედვით, ეფექტიანობის მასტიმულირებელ ქვეყანათა რიცხვში პოზიციონირებდა, შესაბამისად, ის ქვეყნის განვითარების მეორე დონეზე იყო. აღნიშნული დაყოფა კარგადაა ნაჩვენები 2017-2018 წლის დოკუმენტში.

GCI – განვითარების საფეხურები

GCI ფაქტორთა უკუფიზიკური მოიგავს ქვეყნის განვითარების 3 ძირითად საფეხურს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 3 ქვე-ინდექსს, რომელიც აერთიანებს 12 მაჩვენებელს.

განვითარების საფეხურები	მშპ (ერთ სულ მოსახლეზე (აშშ \$))	ქვეყნების რაოდენობა
I. საფეხური - ფაქტორ-მამოძრავებელი	> 2000	35 ქვეყანა
პირველიდან მე-2 საფეხურზე გარადამავლი	2,000-2,999	15 ქვეყანა
II. საფეხური - ეფექტიანობის მასტიმულირებელი	3,000-8,999	31 ქვეყანა (საქართველო)
მე-2-დან მე-3 საფეხურზე გარადამავლი	9,000-17,000	20 ქვეყანა
III. საფეხური - ინოვაციის მამოძრავებელი	< 17,000	36 ქვეყანა

წყარო: www.economy.ge

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის უმთავრეს ნაწილს 12 ინდიკატორი ინდიკატორი წარმოადგენს. ეს ინდიკატორები გარკვეულ ცვლილებას განიცდის. 2018 წლის ანგარიშში წარმოდგენილი ინდიკატორები იყო:

1. ინსტიტუტები
2. ინფრასტრუქტურა
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება
4. მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა
5. ჯანდაცვა
6. უნარები
7. სასაქონლო ბაზარი
8. შრომითი ბაზარი
9. ფინანსური ბაზარი
10. ბაზრის მოცულობა
11. ბიზნესის დინამიურობა
12. ინოვაციური შესაძლებლობები;

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უახლესი ანგარიში შედარებით განსხვავებულად სტრუქტურირებულია, ის 4 კატეგორიად იყოფა: გარემოს შექმნა, ადამიანური კაპიტალი, ბაზრები და ინოვაციური ეკოსისტემები. ზემოთ აღნიშნული 12 ინდიკატორი სწორედ ამ 4 კომპონენტის ქვეშ არის გაერთიანებული და შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:

ცხრილი 1

GCI ოთხი ძირითადი კატეგორია	
გარემოს შექმნა	1. ინსტიტუტები 2. ინფრასტრუქტურა 3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება 4. მაკროეკონომიკური სტაბილურობა
ადამიანური კაპიტალი	5. ჯანდაცვა 6. უნარები 7. სასაქონლო ბაზარი 8. შრომითი ბაზარი
ბაზრები და ინოვაციური ეკოსისტემები	9. ფინანსური სისტემა 10. ბაზრის მოცულობა 11. ბიზნესის დინამიურობა 12. ინოვაციური შესაძლებლობები

გარემოს შექმნა მოიცავს: 1.ინსტიტუტებს 2.ინფრასტრუქტურას 3.საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისებასა და 4.მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;

ადამიანური კაპიტალი და ბაზრები აერთიანებს: 1.ჯანდაცვას 2.უნარებს 3.სასაქონლო ბაზარსა და 4.შრომით ბაზარს;

ბაზრები და ინოვაციური ეკოსისტემები აერთიანებს: 1.ფინანსურ სისტემას 2.ბაზრის მოცულობას 3.ბიზნესის დინამიურობასა და 4.ინოვაციურ შესაძლებლობებს;

1.2 კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებები

2018 წლის ანგარიშის გაანალიზებისთვის აუცილებელია შეინიშნოს, რომ აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, კერძოდ კი, 2017-2018 წლის ანგარიშის შემდეგ ცვლილება განიცადა კონკრეტულმა ინდიკატორებმა და შეფასების შკალამ.

ტექნოლოგიური მზაობა ინდიკატორთა ჩამონათვალში აღარ არის, მის ნაცვლად წარმოდგენილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება. მაკროეკონომიკური გარემოს კომპონენტი შეიცვალა მაკროეკონომიკური სტაბილურობით. ჯანდაცვისა და პირველადი განათლების ადგილი მხოლოდ ჯანდაცვით ჩანაცვლდა, რომელსაც ერთადერთი ქვე-პუნქტი აქვს “ჯანსაღი სიცოცხლის ხანგრძლივობა”. უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის კომპონენტი “უნარების” ინდიკატორმა შეცვალა, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა კი “პროდუქტის ბაზარმა”. შრომითი ბაზრის ეფექტიანობა, 2018 წლის დოკუმენტში წარმოდგენილია, როგორც “შრომითი ბაზარი” და 10 ქვეპუნქტის ნაცვლად 12 ქვეპუნქტი აქვს. ფინანსური ბაზრის განვითარების კომპონენტი წარმოდგენილია, როგორც


ფინანსური სისტემა, აქ ორივე ინდიკატორის ქვეპუნქტები განსხვავებულია. ბიზნესის განვითარების კომპონენტის ფორმულირება ასევე განსხვავდება და 2018 წლის კვლევაში წარმოდგენილია ინდიკატორი “ბიზნესის დინამიკა”, მაშინ, როცა 2017-2018 წლის ანგარიშში წარმოდგენილია ინოვაციების ინდიკატორი, ახალი რეპორტი უშუალოდ ინოვაციურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული.

კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ შეიცვალა ქვეყანათა შეფასების შკალა 7 ქულიანი სისტემიდან 100 ქულიანზე გადავიდა. ასევე გაიზარდა წარმოდგენილი ეკონომიკების რიცხვი და 2018 წლის ანგარიშში 140 ქვეყნის მაჩვენებელი დაფიქსირდა 137-ის ნაცვლად.

თავი II. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2018 და საქართველო

2.1 საქართველოს პოზიცია 2018 წლის ანგარიშში

წყარო: www.weforum.org



2018 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველო, წინა წელთან შედარებით, ერთი საფეხურით დაწინაურდა და 67-ე ადგილიდან, 60.9 ქულით, 66-ზე გადაინაცვლა. წინა წლის შეფასების სისტემა კი 7 ქულიანი ოყო, მასში საქართველოს ჯამური ქულა 4.28-ს წარმოადგენდა.

2.2 ცვლილებები

2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, შეფასების 110 კრიტერიუმის იმ კომპონენტთაგან, რომელიც ინდიკატორებში წინა წლის იდენტური ფორმით იყო წარმოდგენილი, 55-ის ქულა გაუმჯობესდა, 35-ის შემცირდა, ხოლო 15 უცვლელი დარჩა.

პოზიციის მიხედვით, მნიშვნელოვანი ინდიკატორები, რომლებიც უკუსვლით ხასიათდება ფიქსირდება: ფინანსური სისტემის (-25 პოზიცია), ბანკების სტაბილურობის (-12 პოზიცია), ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობის (-19 პოზიცია), ბაზრის მოცულობის ზრდის (-13 პოზიცია), ვალის დინამიკის (-26 პოზიცია), სავაჭრო ტარიფების (-1 პოზიცია), მაკროეკონომიკური სტაბილურობისა (-24 პოზიცია) და ხელფასის განსაზღვრის მოქნილობის (-6 პოზიცია) მაჩვენებლებში.

გაუმჯობესებული კომპონენტებიდან ზრდა ფიქსირდება: სასამართლოს დამოუკიდებლობის (+4 პოზიცია), დაქირავებისა და დათხოვნის პრაქტიკის (+7 პოზიცია), პოლიციის სერვისის სანდოობისა (+2 პოზიცია) და შრომით ბაზარზე ქალთა ჩართულობის ინდიკატორებში (+43 პოზიცია);

ცხრილი 2

ინდექსის შეფასების კრიტერიუმები	პოზიცია		პოზიციის ცვლილება
	2017- 2018	2018	
ფინანსური სისტემა (2018)/ფინანსური ბაზრის განვითარება(2017-2018)	63	88	(25)
ბანკების სტაბილურობა	64	76	(12)
ვენჩურული კაპიტალი	80	99	(19)
ბაზრის მოცულობის ზრდა	100	102	(2)
ვალის დინამიკა	59	85	(26)
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	48	72	(24)
ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა	35	41	(6)
სავაჭრო ტარიფები	4	5	(1)
სასამართლოს დამოუკიდებლობა	87	83	4
დაქირავებისა და დათხოვნის პრაქტიკა	28	21	7
პოლიციის სერვისის სანდოობა	42	40	2
ბაზარზე ქალთა ჩართულობა	84	41	43

ბოლო წლების ანგარიშების მიხედვით, საქართველო, 8 კრიტერიუმის პირველ ათეულში პოზიციონირებს. 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში კი ამგვარი 9 კომპონენტია წარმოდგენილი. ქვეყნის ყველაზე კარგი პოზიციები, რომლის მიხედვითაც ის მსოფლიოს პირველ ათეულში იკავებს ადგილს, შემდეგია: ელექტროფიკაციის მაჩვენებელი (პირველი ადგილი), შრომის გადასახადი (პირველი ადგილი) მოსწავლე-მასწავლებელთა თანაფარდობა დაწყებითი განათლების სფეროში (მეორე ადგილი), აქციონერთა მმართველობა (მესამე ადგილი), ბიზნესის დაწყების დრო (მეოთხე ადგილი), სავაჭრო ტარიფები (მეხუთე ადგილი), სერვისის მიწოდების გამჭვირვალობა (მეექვსე ადგილი), უცხოური სამუშაო ძალის დაქირავების სიმარტივე (მეექვსე ადგილი), სამთავრობო ხარჯები(მეათე ადგილი);

ცხრილი 3

კრიტერიუმები, რომელშიც საქართველო ლიდერობს	ადგილი
ელექტროფიკაცია	I ადგილი
შრომის გადასახადი	I ადგილი
მოსწავლე-მასწავლებელთა თანაფარდობა დაწყებითი განათლების სფეროში	II ადგილი
აქციონერთა მმართველობა	III ადგილი
ბიზნესის დაწყების დრო	IV ადგილი
სავაჭრო ტარიფები	V ადგილი
სერვისის მიწოდების გამჭვირვალობა	VI ადგილი
უცხოური სამუშაო ძალის დაქირავების სიმარტივე	VII ადგილი
სამთავრობო ხარჯები	X ადგილი

ინდექსის მიხედვით, საქართველოს მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი მაჩვენებლები შემდეგია: სოციალური კაპიტალი (126-ე ადგილი), პროფესიული ტრენინგის ხარისხი (131-ე ადგილი), კურსდამთავრებულთა უნარები (123-ე ადგილი), კვალიფიციური კადრების მოძიება (111-ე ადგილი), სადაზღვევო პრემიები (122 - ე ადგილი), ბაზრის კაპიტალიზაცია (121-ე ადგილი), საკრედიტო დეფიციტი (119-ე ადგილი), სამუშაო ძალის მრავალფეროვნება (116-ე ადგილი).

ცხრილი 4

კრიტერიუმები, რომელშიც საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს	ადგილი
სოციალური კაპიტალი	126-ე ადგილი
პროფესიული ტრენინგის ხარისხი	131-ე ადგილი
კურსდამთავრებულთა უნარები	123-ე ადგილი
კვალიფიციური კადრების მოძიება	111-ე ადგილი
სადაზღვევო პრემიები	122-ე ადგილი
ბაზრის კაპიტალიზაცია	121-ე ადგილი
საკრედიტო დეფიციტი	119-ე ადგილი
სამუშაო ძალის მრავალფეროვნება	116-ე ადგილი

აღნიშნული მონაცემებით ირკვევა რომ სახელწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა განათლება და კვალიფიკაციაა. ეს კი თავის მხრივ სხვა სფეროების განვითარებას უშლის ხელს, რომლებიც გამუდმებით საჭიროებენ მაღალკვალიფიციურ კადრებსა და ინოვაციებს. მეორე მხრივ, კი უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ფინანსური სისტემის სფერო.

საინტერესოა უახლესი ანგარიშის 4 კატეგორიაში, 12 მაჩვენებლის მიხედვით, სად აქვს საქართველოს ყველაზე რთული მდგომარეობა და ზოგადად რა პოზიციებს იკავებს ის

აღნიშნულ კატეგორიებში. ასევე საინტერესოა, დაემთხვევა თუ არა ინდიკატორებში პოზიციონირების ზოგადი სურათი ქვეინდიკატორების ზოგად სურათს.

ცხრილი 5

კატეგორია	პოზიცია
გარემოს შექმნა	
ინსტიტუტები	40
ინფრასტრუქტურა	72
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება	45
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	72
ადამიანური კაპიტალი და ბაზრები	
ჯანდაცვა	80
უნარები	45
სასაქონლო ბაზარი	42
შრომითი ბაზარი	31
ბაზრები და ინოვაციები	
ფინანსური სისტემა	88
ბაზრის მოცულობა	102
ბიზნესის დინამიურობა	53
ინოვაციური შესაძლებლობები	85

ირკვევა რომ საქართველოს პოზიცია კატეგორიებში შემდეგნაირად გამოიყურება:

გარემოს შექმნა:

- 1.ინსტიტუტები - 40-ე ადგილი
- 2.ინფრასტრუქტურა - 72-ე ადგილი
- 3.საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება - 45-ე ადგილი
- 4.მაკროეკონომიკურ სტაბილურობა - 72-ე ადგილი

ადამიანური კაპიტალი და ბაზრები:

- 1.ჯანდაცვა - 80-ე ადგილი
- 2.უნარები - 45-ე ადგილი
- 3.სასაქონლო ბაზარი - 42-ე ადგილი
- 4.შრომითი ბაზარი - 31-ე ადგილი

ბაზრები და ინოვაციური ეკოსისტემები:

- 1.ფინანსური სისტემა - 88-ე ადგილი
- 2.ბაზრის მოცულობა - 102-ე ადგილი
- 3.ბიზნესის დინამიურობა - 53-ე ადგილი
- 4.ინოვაციურ შესაძლებლობები - 85-ე ადგილი

აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, 2018 წლის გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსში 4 კატეგორიის მაჩვენებლიდან ფინანსური სისტემის პრობლემა მართლაც ერთ-ერთი უმთავრესია და ის ემთხვევა ქვეინდიკატორების მიხედვით წარმოდგენილ სურათს (**იხ. ცხრილი 2**) ასევე მნიშვნელოვანია ბაზრის მოცულობის სიმცირე და ინოვაციური შესაძლებლობები, რომლის მიხედვითაც ქვეყანას არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვს. ზოგადი სურათის შეფასებისას კი უნდა ითქვას, რომ 4 კატეგორიას შორის ყველაზე რთული მდგომარეობაა მეოთხე კატეგორიაში, რომელიც სწორედ ბაზრებსა და ფინანსურ ეკოსისტემებს ეკუთვნის და იმ 4 ინდიკატორს აერთიანებს, რომელთა შორისაც მოქცეულია სამი ყველაზე დაბალი პოზიცია.

თავი III. საქართველო კავკასიის რეგიონულ კონტექსტში

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს საქართველოს მნიშვნელობას კავკასიის რეგიონალურ კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლის ინდექსში საუბარი იყო, რომ ევრაზიული ქვეყნების საერთო ტენდენცია ეკონომიკური პოზიციების ზრდით ხასიათდებოდა და ყველაზე კონკურენტული ეკონომიკები, მათ შორის რუსეთი და მოლდოვა, მაღალ ზღვარს ინარჩუნებდნენ, ხოლო გამონაკლისი საქართველო და ყაზახეთი იყო, რომლებიც 8 და 4 ადგილით ჩამოქვეითდნენ. განსხვავებით წინა წლის ანგარიშისა, 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საუბარია, რომ ევრაზიული ქვეყნებისთვის აუცილებელია ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ეს გულისხმობს ფინანსური სისტემებისა და ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ზოგიერთ ქვეყანაში(მათ რიცხვშია საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ყაზახეთი) კი საჭიროა სამუშაო ძალის რეფორმა, რომელიც გააუმჯობესებს კვალიფიციური ძალის შეკავებასა და განაწილებას, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, დამატებითი ღირებულებებისა და პროდუქტიულობის ზრდას. რაც შეეხება ინსტიტუტების ინდიკატორს, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიიღო 61 ქულაზე მეტი, გამჭვირვალობის მაჩვენებელში კი მხოლოდ საქართველოს ქულაა 35-ზე მეტი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელში საქართველო ლიდერობს, რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთთან ერთად, აღნიშნული ქვეყნების ქულები დაახლოებით 20 ქულით უფრო მაღალია ვიდრე რეგიონში ინდიკატორის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანათა ქულები.

რეკომენდაციები

- **ფინანსური სისტემა** - საქართველოში ფუნქციონირებს საბანკო სექტორზე კონცენტრირებული ფინანსური სისტემა, რომელიც არის მთავარი საფუძველი ძვირი საკრედიტო რესურსების და არაკონკურენტული გარემოს ფორმირების. გარდა ამისა განვითარებული კაპიტალის ბაზრების და სხვა ძლიერი ალტერნატივების არარსებობა სწორედ საფინანსო სექტორში არსებულ ოლიგოპოლიურ მდგომარეობას უკავშირდება. აღნიშნულის გამოსასწორებლად ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო დონეზე თანაბარი შესაძლებლობები ფინანსური სისტემის იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც არ არიან აფილირებული კომერციულ ბანკებთან.
- **ბანკების სტაბილურობა** - საბანკო სექტორში არსებული რისკების მინიმიზაციისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სრულყოფილად უნდა გაართვას თავი, ორგანული კანონით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს. კერძოდ, სეზ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, ახორციელებს ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას და პრევენციას. ამ კუთხით სეზ-ის ახალი რეგულაციები, რომელიც პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დანერგვას ითვალისწინებს საფინანსო სექტორში, მომავალში მნიშვნელოვანი პრევენციაა იმისა, რომ გადამხდელუნარო მსესხებლების მზარდი დინამიკა აღარ შენარჩუნდება. თავის მხრივ გადამხდელუნარიანი მსესხებლების სიმრავლე და მათი არსებობაა მთავარი გარანტი საბანკო სექტორის სტაბილურობის, რისთვისაც მთავრობამ ძირეული რეფორმები უნდა განახორციელოს.
- **ვენჩურული კაპიტალი** - როგორც წესი განვითარებად ეკონომიკებში, სადაც კაპიტალზე წვდომა და არაკვალიფიციური სამუშაო ძალა მთავარი პრობლემებია, ვენჩურული ბიზნესის არ არსებობა გასაკვირი არ არის, ვინაიდან, ინვესტორები ყოველთვის გაურბიან მაღალრისკიან წამოწყებებში თანხების დაბანდებას. საჭირო არის სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მასტიმულირებელი პროგრამების შემუშავება, რომელიც ერთგავრი პრევენცია იქნება ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევაში. სხვა სიტუაციაში ძნელად მოიძებნება იმგავრი ინვესტორი, რომელიც სარისკო პროექტში, განსაკუთრებით სტარტაპში მოახდენს ინვესტირებას.
- **ბაზრის მოცულობის ზრდა** - ხელისუფლებამ მის ხელთ არსებული ფისკალური ბერკეტების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ახალი ბიზნესების და წარმოებების გაჩენა, ამისათვის მან პირველ რიგში ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას კაპიტალზე ხელმისაწვდომობის პრობლემის მოსაგვარებლად, აგრეთვე, განათლების სისტემაში ძირეული რეფორმების განსახორციელებლად, ვინაიდან არაკვალიფიციური სამუშაო ძალა კვლავ ნარჩუნდება ნომერ პირველ პრობლემად.
- **მაკროეკონომიკური სტაბილურობა** - საქართველოში მაკროეკონომიკური გარემო არასტაბილური და იოლად მოწყვლადია ორი ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: პირველი, დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტი და მეორე იმპორტდამოკიდებულება. ორივე ფაქტორი მნიშვნელოვანი პრობლემების გამომწვევი ხდება, როცა საგარეო შოკებს აქვს ადგილი. ვითარების გასაუმჯობესებლად მთავრობამ არ უნდა შეწყვიტოს ლარიზაციის ღონისძიებების გატარება და პარალელურად ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, რომელიც ექსპორტზე იქნება ორიენტირებული.

დასკვნა

აღნიშნულმა კვლევამ შეაფასა გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშის სპეციფიკა და მეთოდოლოგიური ცვლილებები, ასევე საქართველოს პოზიციონირება 140 ქვეყნის ეკონომიკას შორის და ანალიზი გაუკეთა იმ ინდიკატორებს, რომლებიც მნიშვნელოვანი პროგრესისა და რეგრესის ტენდენციით ხასიათდება. კვლევის მიხედვით, გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშში სახელმწიფოს ერთი პოზიციით დაწინაურების მიუხედავად, ფინანსური სექტორი, მაკროეკონომიკური მდგომარეობა, საბანკო სექტორი, კვალიფიციური მუშახელისა და განათლების პრობლემის არსებობა ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად რჩება. შესაბამისად, მთავარი რეკომენდაციაა: ხელისუფლებამ უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები ფინანსური სისტემის მოთამაშეებისთვის, საკანონმდებლო დონეზე, განახორციელოს განათლების ძირეული რეფორმა და პრიორიტეტად დასახოს ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის აუცილებელი ქმედებების განხორციელება.